



თბილისი გამომცემლობა „კომუნისტი“
ფასი 1 მან.
№ 7 1941 წ.

30/5/41
№ 219

პრსეპითი გენსხვავება

ნ.ს. შიხ. ლეგუვისა

— ხიანს პატრიოტიზმი ღვივის ჩვენს მუშებში, ესენი მოხალისედ ომში წასახვლელად გამოდიან, არა?
— არა: ომის წინააღმდეგ გამოდიან.



სამაისი მოგზაურობა

ნიადაგ მაისს მჩვევია უცხოეთს გასეირნება,—
წელსაც ასე ვქმენ, რადგან ეს ნიანგმაც ასე ინება.
რადგან ამბები საჩქაროდ მქონდა მე გადმოსატანი,
ჩავჯექ თვითმფრინავს და უმაღლესად ზეცის ტატანი.
რა ჩვენს მშვიდ მიჯნას გადავცდი, მყის ვნახე საქმე საზარი:
წინ შემეხეჩა ყოველგან ბობოქარ ომის ხანძარი,—
იწვის, ინგრევა, სწახლი საჩქეტს, მთები ირყევა ზანზარით,
ვხედავ, მშვიდობის ანგელოზს, დარბის ის ფრთების ცანცარით.
შეშინებულა, იძახის: ვაი რა დღეში ჩამავდეს,
ძილი დამიფრთხეს ერთიან და იშვილიდან დამავდეს...
თანავუგრძენი დამაგრულს და თან ვურჩიე გამაგრდეს,—
ეს ფორიაქი დღეა თუ ხვალ, სხვაგვარად უნდა დალაგდეს.
რეგოსლავეთს დავხედე წრფელის გულით და გონებით,
ხალხს,—ნიშნად მეგობრობისა ვესროლე იია კონები.

საბერძნეთს წაველ იქიდან, ვიხილე ძველი ელადა,
იქაც ქვემეხნი გრგვინავდენ და ხანძრის ალი ელადა.
ოლიმპის მთაზე გადავლით პარნასს მიხდოდა ვაჩენა,
წინ ზევსი შემომეყარა, მთხოვა და გზად გამაჩერა.
— ხედავ, ცა-სადაც, ჩემს ყოფას? აწ რაღა სანახავი ვარ?
აქამდე ღმერთად რომ მთვლიდნენ, დღეს აღარც ვიროსთავი ვარ!
ძველად ხომ გაგიგონია, მე განვაგებდი სტიქიას,
ქუხილით ვძრავდი აქ მთებსა, იქ ჭალებს, იქ ვარდას, იქ იას.
ახლა კი—საქმე არა გაქვს? ამას მე აღარ მაცლიან:
ტორპედებსა და ყუმბარებს, სულ პანტასავით მახლიან,
გთხოვ მიყავ ერთი სიკეთე, ან ხათრი შემომინახე,
დამითმე რამესაირად ეგ შენი აირწინალი,
მე ყური აღარ ვათხოვე, რადგან ვჩქარობდი ძალიან,
(ღმერთების ლათაიების სასმენად სადა მცალიან?).



და როს ეგვის ზღვისპირად დავეშვი დასასვენებლად,
ბრიტანელ სარდლის საუბარს ყური მოვკარი მე წელად:
— აბა ბერძნებო, ყოჩაღად, მიდით, ეკვეთეთ, დასცხვით,
ჯავრი მჭირს გერმანელების დაჰკარით, დამიარცხევით.
მეც აგერა ვარ, ჯართურთ, გემებში ვსხედვართ ყველა და,
და თვალს ვადევნებთ აქედან... ჯერ ეს ჩასთვალეთ შეველადა.
— ახლა იმათაც რომ დავცხონ, მაშინ რას იზამთ გეთაყვა?
მას შეეკითხა ბერძენი (და თან მზად იყო—ეთაჟა!).
— ო, მაშინ? თქვენს დასაცავად,—ვით ალბიონსა სჩვევია,
დავიხვეთ, სრულის წესრიგით, ვით სხვა დროს დავგიხვევია.
ამ დროს ტელეფონს მივარდა სარდალი ბრიტანელი და,
ყურმილში ჩაისაუბრა მტრედის ლულუნით წელითა:
— „აბა, იუგო-სლაველნო, თქვენს ვაჟაკობას ველითა,
გესურს გერმანია დამარცხდეს თქვენი მედგარი ხელითა,
გულს ნუ გაიტეხთ, გეთაყვათ, აგერ ვართ თქვენი მცველები,
და გაიმარჯვებთ თუ არა, მაშინვე მოვეშველებით.
რაო? გაირღვა ფრონტი და მტერი არ გნუყავთ ხეირსა?
თუ კი ასეა, ახლა კი იმას ვაჩვენებთ სეირსა.
და ბრძანა, ჯარი მზად იყოს, ზღვისპირს იცადოს სრულად,
რომ გაიდურწოს იქიდან ჩუმად და ვაჟაკურად.

— ბალკანელ მოკავშირეებს რომ გაურთულდეთ ომი და
დავჭირდეთ, დავეხმარებით რომელ სამხედრო ზომითა?
კრძალვით შეჰკადრა იმ სარდალს—სხვა, იმგვარმაც სარდალმა,
— როგორ სერ, განა არ იცით?—მიუგო „ალალ-მართალმა“,—
ცხადია, მოკავშირისთვის გვაქვს ზომა „დიუნკერკული“,
რომ საჭირო დროს შინ წასვლა შეგვეძლოს ჩვენ სახერხული...

დილოგის ეს ნაწილიც მე ჩავთვალე საკმარისად,
რომ გამეგო შინაარსი ჯენტლმენური კავშირისა!
მყის ბრიტანეთს გავეშურე გიბრალტარზე გადაფრენით,
გზაში შემხვდა მე ამაღა მიმავალი მცირე გემით:
ეკითხე,—ვინ ხართ? საით მიხვალთ, ან მოსცურავთ საიდანა?
მაგ გალით ეგრე ფრთხილად რა ფრინველი მიგყავთ თანა?
— ეს ფრინველი კი არ არის, ნუგუსია მეფე სრული,
დღემდე ლონდონს მუზეუმში ფრთხილად გყავდა შენახული,
იქ ვასწავლეთ ტიკინობა, და გაწვრთენით ნება ნებად.
ახლა აბისინიაში მიგყავს ტახტზე დასადებად.
გამეცინა, ამ ამბავზე და შეგვადრე განცვიფრებით:
რაღა უჭირთ აბისინელთ, გაწამებულთ სისხლის ღვრებზე,
იმისათვის იბრძვიან და ძველ დამპყრობელს თავს აკლავენ,
რომ თვით მძიმე ტანჯვის ჯილდოდ ახლა დამპყრობს იხილავენ?
თან დავსძინე: დასკვნისათვის აწკი ნიანგს დაველოდოთ.
და განვაგრძე გზა, ზღვა და ზღვა, მივიდიოდი რადგან ლონდონს
გზა გავლიე წამის წამად, და დავხედე ქალაქს თავსა,
აქეთ ნანგრევს, იქით ნამსხვრევს, იქ ნახანძრულს ვხედავ შავსა,
როს დავეშვი ჰაიდ-პარკში, ვნახე ხალხი მონაზღვავი,
დროშებით და პლაკატებით მოდიოდა როგორც ზვავი,—
და თუმც ირგვლივ რკალად ერტყა პოლისმენთა მთელი ჯარი,
შეუბოვრად იდგა მაინც შრომის შვილთა მძლე ლაშქარი:
— „გაუმარჯოს პირველ მაისს“, გაისმოდა მედგარად ხმები,
— „გაუმარჯოს კომპარტიას“—„ძირს შრომელთა მძარცველები“,
შევეურთდი მეც ამ მებრძოლთ, ვინახული ჩვენი ძმები,
მე კულამბე და იმათაც მამცნეს დიდი საკითხები:
სთქვეს მწიფდება ხალხის რისხვა და დღეს თუ ხვალ დაიქუხებს,
რომ წალეკოს სისხლის მსმელნი, ვინც მშრომელებს სულს უწუხება,
რომ მსოფლიოს მოეფინოს საბჭოეთის მზის ჩანჩქერი,
რომ ჩვენც მალე გავითენოთ ის დიადი ოქტომბერი.

ასე ჩამოვეყ ქვეყნებსა, მსოფლიო შემოვიარე,
და იქაური ამბები ვნახე და ვაფიზიარე:
ბობოქრობს მთელი მსოფლიო,—ის ორად გაყოფილია:
მძარცველთა ხროვა ხელს იფშენეტს,—ომისგან კმაყოფილია,
მაგრამ მშრომელთა ლაშქარი თუმც ცეცხლის ალში მკვნესარი
ამზადებს აფეთქებასა იმ ციხის, რაშიც დღეს არი
ირაზმება და მოუხმობს ამხანაგ რევოლუციას,
რომ დაჰკრას კაპიტალიზმის ბებერ სამყაროს,—ბრუციანს,
რომ მოსპოს ომი და შეჰქმნას ხალხთა ნანატრი გაისი,
რომ იზეიმოს აწ მერმის მან კომუნიზმის მაისი.

ზარსადანი.





— აჰა, ესეც თქვენი გაზეთი. ხომ არ ვემძიმება?
 — ჩემთვის ნუ ხწუნხართ...ეს ტვირთი თქვენთვის უფრო მძიმეა...



შეგონების ტყავი



მას ლალი ერქვა. ცენტრში საფერწლო ტექნიკუმი დაემთვარებინა და ჩვენს სოფელში დაენიშნათ.

დიდათ გაეხარდა ყველას, განსაკუთრებით ჩვენი საექიმო პუნქტის ექიმს, რომელსაც თანაშემწე ესაჭიროებოდა.

ერთერთი მაქსიმალურად გახარებულთაგანი ვიყავი მეც, ვინაიდან კარგა ხანია, მინდოდა ვისიმე შეყვარება, ობიექტს ვერ ვპოულობდი. შეყვარების ობიექტი, საერთოდ, არც თუ მცირე რაოდენობითაა ჩვენს კუთხეში, მაგრამ აქ მე ერთგვარ გადაულახავ დაბრკოლებას გადაველობე? ვინც მომეწონა და ვისი შეყვარებაც მოვიწოდებე ყველა დაკავებული აღმოჩნდა: ზოგი უკვე იყო შეყვარებული (არა ჩემზე — სხვებზე); ზოგი გათხოვებას არ აპირებდა და ზოგიც აშკარად ქმრიანი იყო.

მე აქ სამკითხველოს განვაგებ და საქმე ბევრი არა მაქვს. საექიმო პუნქტი სწორედ ჩემს პირდაპირ მდებარეობს და ლალის კულულებს დილიდან საღამომდე ვხედავდი. ამან ჩემში დიდი მეტამორფოზა მოახდინა.

— რა ამბებში ხართ, ყმაწვილო? — ეშმაკური ღიმილით მკითხა ერთხელ საბჭოს მდივანმა.

— არ მესმის...

— რა არ გესმის? წინათ წვერ-ულვაშით დადიოდი, ახლა, რაც ლალი ჩამოვიდა, მუდამდღე იპარსავ...

მე თავი ვიმართლე: რომ ეს ლოდიკური მოვლენაა, ვინაიდან ჩემი კულტურული დონე ამაღლდა, რომ ლალი აქ არაფერ შუაშია...

არ ვიცი, დაიჭრა საბჭოს მდივანმა თუ არა.

განსაკუთრებით შემეყვარდა აივანი. გამოვიდოდი, წიგნს გამოვიტანდი და შევსცქეროდი... ლალის კაბინეტს. მე მგონია, ექიმში მიმიხვდა: დავჯდებოდი თუ არა აივანზე, მაშინვე აბრეშუმის ფარდას ჩამოუშვებდა კაბინეტის ფანჯარაზე და მე პირში ჩალავა-მოვლებული ვრჩებოდი.

ბოლოს ვეღარ მოვითმინე და საბჭოს მდივანს ვთხოვე:

— თუ ხათრი გაქვს, გამაცანი...

საღამოს:

— გაიცანით, ლალი, ეს გახლავთ ჩვენი ქონ-სამკითხველოს გამგე, — ეუბნება საბჭოს მდივანი.

გავიცანი...

— რა გიჭირდა, ბიჭო, ბიბლიოთეკა — სამკითხველო გეთქვა? — ვუსაყვედურებდი მეორე დღეს საბჭოს მდივანს, — მაინცღამაინც „ქონს“ რომ გაუსვი ხაზი, რომელი ქონხია ეს მშვენიერი დარბაზი?

მან ჩაიციანა.

— ქონ-სამკითხველო ცუდია?

— არა, ცუდი არაა მაგრამ ქონის გამგეაო რომ იძახი, რა დიდ ტიტულს მანიჭებ მაგით? ჩამდენიმე დღეში დავმეგობრდით მე და

ლალი. თავისუფალ დროს სამკითხველოში ატარებდა, განსაკუთრებით დაინტერესებული იყო მხატვრული ლიტერატურით.

— როგორ მოგწონს შაგრენის ტყავი? — მეკითხება ერთ დღეს.

მაშინვე ჩემს მაღალყელიან ჩექმებზე დავიხედე.

— ეს შაგრენი არაა, შეგროა, — ვუბასუხე მე, — თუმცა შაგნერიც კარგია.

— ხა, ხა, ხა! — ჩაიკისკისა ლალიმ, — მე ბალზაკის შაგნერის ტყავს გეუბნებით... გავთავდი კაცი.

— ხი, ხი, ხი! მე ვხუმრობდი... — გავიცინე მეც გაბზარული ხმით.

ლალის აღარაფერი უთქვამს ამ თემაზე. მე კი შერცხვენილმა, იმავე დღეს გადავიკითხე შაგრენის ტყავი.

მეორე დღეს ჩვენ კინოში ვიყავით და როცა სახლისაკენ გავაცილე, ჩემს გრძნობებში გამოვტყედი, ლალი იცინოდა, პასუხს კი არ ამბობდა. ეს, რასაკვირველია, თანხმობის ნიშანი იყო. ისე გავთამამდი, რომ ხელზე ვაკოცე.

— ნახვამდის, — მითხრა მან, — როცა დრო გვექნება, ერთად ვიკითხოთ.. იმედი მაქვს, თქვენ არ იქნებით ჩემი უკმაყოფილო.

დავდნი კაცი.

— არასოდეს... პირიქით... ახ, ლალი... — ამოვიხრიალე და მოსახვევად მივიწვიე.

მაგრამ ლალი უკვე აივანზე იყო. გაიღიმა, თითქმის დამემუქრა და სახლში შევიდა.

ხელად ავფრინდი მეშიდღე ცაზე. გადავწყვიტე მეორე დღესვე გამემართა ნიშნობა. შინ მისულმა თათბირი გავმართე:

— ის ინდოური მაინც არ სდებს კვერცხს, დავკლათ. გოჭები მაინც ბევრია, ერთი შევწვათ. სტუმარი ბევრი არ გვინდა, ოცდაათი კაცი საკმარისია, — ექიმიც მოვიწვიოო, — ვმსჯელობდი მე და შინაურებიც მეთანხმებოდნენ.

მეორე დღეს შინაურები დილიდანვე შეუდგნენ მზადებას. მე კი სამკითხველოში წავივედი. დავწერე უსტარი ლალისადმი, შიგ აღვნიშნე, რომ სიყვარულის გამო გული მეკუმშება შაგრენის ტყავით... ამის გამო ვთხოვე საღამოს მოსულიყო და ექიმიც წამეყვანა. ჩემი უახლოესი მეგობარი გაუგზავნე უახლოეს ნაცნობებს და მათაც ვთხოვე.

საღამოს ყველანი შეგროვდნენ. მოვიდა ექიმიც.

ახალ ტანსაცმელში გამოწყობილი ველოდი ლალის. თან ჩუმად ვიმეორებდი ბალზაკის, სტენდალის, ტოლსტოის, ცევიგის, შოლოხოვის, პიუგოზს, პუშკინის, ანატოლ ფრანსის, სინკლერისა და სხვების სახელებს და მათ ნაწარმოებთა სათაურებს. ამ ავტორების გვარებსა და მათი ნაწარმოებების სახელწოდებებს მე ჩუმად ვსწავლობდი იმ დღიდან,

რაც ლალიმ იმ შეჩვენებული შაგრენის ტყავზე ჩამომიგდო ლაპარაკი და სულ უბრალოდ გამოარკვია ჩემი (ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამგის) ჩამორჩენა...

ღიან, ვიმეორებდი ამ ავტორებს და პირველ ყოვლისა კი — ლალის, ჩემი ლალიკოს სახელს!

ყველანი მოვიდნენ. არ სჩანდა მხოლოდ ლალი... ლალი — ქვეყნის თვალი.

— დავსხდეთ, მე მგონია! — სთქვა საბჭოს თავმჯდომარემ. მას ექიმიც დაემოწმა.

რალას ვიზამდი მე — მასპინძელი?..

დავსხედით. დაიწყო ნადიმი. ოღონდ მე არაფერი მენადიმებოდა. ბოლოს გავბედე.

— პატივცემულო ექიმო! — ჩურჩულით ვუთხარი ყურში, — სად არის ლალი?

— ლალი? ლალი რაიონის ცენტრში წავიდა მანქანით, მალე დაბრუნდება. — მითხრა მან.

მცირე ხნის შემდეგ მანქანის ხმა მოისმა. მე გარედ გავარდი.

ლალი გადმოვიდა მანქანიდან...

მივარდი, ხელები დავუჭირე და დარბაზში შევიყვანე.

ერთი ყრიაშული შეიქნა. მე — სახელეწილს სიხარულისაგან, ისევე მეჭირა სახელეწილივე ლალის ხელი.

— ბოდიში დაგვიანებისათვის! — წარმოთქვა მან.

— არა რის, გენაცვალე ლალი...

ამ დროს კიდევ ვიღაც შემოვიდა.

— დიდი ბოდიში დაგვიანებისათვის! — გაისმა მისი ხმა. მივიხედე — საბჭოს მდივანი იყო.

— მოდი, მოდი, ვალიკო, — ვუთხარი მე, მოდი, დაჯექით. დავსხედით.

— სად იყავით ამდენხანს? — თითქმის ერთხმად იკითხეს ჭალარა, სათვალეებიანმა ექიმმა და საბჭოს თავმჯდომარემ.

ლალიმ თავი დახარა.

დაგვაგვიანეს, — მხიარულად წარმოსთქვა საბჭოს მდივანმა ვალიკომ, — მმაჩის გამგე სადღაც წასულიყო და...


— როგორ?... მმაჩის?... — ვიკითხე თავზარდაცემულმა.

ეპილოგი

თორე დე ბალზაკი... ბლოკი.. ჯეკ ლონდონი... დიუმა — მამა, დიუმა — შვილი... დიუმა — ბიძა... მარკ ტვენი და შილერი... შაგრენის ტყავი... ყველა ეს სახელი ზეპირად დასწავლილი დამრჩა...

ლალი და ვალიკო მამშვიდდებენ, რომ ეს პირველი ნაბიჯია ლიტერატურაში შესვლისაკენ, მაგრამ როგორ შევუროგდე შაგრენის ტყავს, რომელმაც ჩემი ლალი დამაქარგვინა? ახლა ვზივარ და ველოდები რომელიმე ახალი ლალის ჩამოსვლას.

ალ. მაღულარიძე



— კაცო, ეს ღანჩაა თუ ბევრეჭი, ამის გაკრას არაფერი
ეზედა.
— ამ წუთში მოგართმევთ სპეციალურად აღებილ ღანახ.

— კინოსახიობის დე-პლუტის თამაშს განსაკუთრებით აქებთ
თქვენი გაზეთი.

- ოოო...ის ღრმად განიცდის...
- როლს?

— არა. ჩვენი რედაქციის მატერიალურ მდგომარეობას: მან
ჩვენს გამომცემელს ყველაზე დიდი თანხა გადაურიცხა.

თარალე ლიბერალიზმის საიკრავალეიუსო მოგონება

ეს ამბავი ძველად მოხდა,
ნიკოლოზის შავ-ბნელ დროში.
პირველ მაისს გამოვიდნენ
შრომის შეილნი წითელ დროში.

წინა რიგში მე არ მოვხვდი,
თავი როგორ მოგაწონოთ, —
რისკის კაცი არ გახლავართ,
აქვე უნდა მოგაგონოთ.

ვერდიები თუ ვგოდნობ საქმეს
სახიფათო ბოლო უჩანს, —
მე ტროტუარს მოვყვებოდი,
მუშები კი შუა ქუჩას.

როს სიმღერა აუფუგუნდა,
დროშაც გვექონდა აწეული,
უცებ ჩვენ წინ გადაგვიდგა
პოლიციის ასეული:

— დაიშალეთ!
დაიშალეთ!
გაჭკიოდნენ ხელში ხმლებით.
მუშები კი არა ჰშლიდნენ
მჭიდრო რიგებს თავის ნებათ.

იძახოდნენ:
— „ძირს ნიკოლოზ!
ზიზი ძაღლებს ცოფიანებს!“...

მაგრამ ცარიელი ხელით
რას უხამდნენ თოფიანებს!?

თუმც ვეფხვივით შეებრძოლენ
ჯალათ მეფის ჯალათ ბანდებს,
საბოლოოდ პოლიციამ
სძლიათ მაინც დემონსტრანტებს.

მე ტროტუარს მივყვებოდი,
მოვერიდე აყალ-მყალს,
მაგრამ მაინც შევეჩვენე
პოლიციელს ახმასს, მაღალს.

დამიბღვირა:
— „აქეთ მოდი!
გინ ხარ?
შენ აქ რა გინდოდა!...“
რომ მართალი მოგახსენოთ
შემეშინა, შევეკრთი ცოტა.

მაგრამ მაინც არ დავიბენ,
მოვიგონე უცებ ხრიკი,
მე ვუთხარი:
— „ბიძაჩემი
არის თქვენი „ნაჩაღნიკი!“...

მან ბოდიში მომიხადა:
— „უკაცრავად, მაპატიე!“...
ხედავთ, მე იმ არამზადებს
თავი როგორ დავაღწიე?!

პირიშვილი

„სკრილმანი“




მოგხსენებელი: ამხ. მოლაგე, აბაზი მომეცო ხურდა...
მოლაგე: რა წერილმანი ყოფილხართო.. დღეს დიდიდან ათა-
ხანდ მომხსენებელმა მიიღო კარაქის ზევი და თქვენს ვადა არა-
ვის უკადრებია აბაზის მოთხოვნა.



1. განსაკუთრებული ყურადღებით



2. მზრუნველობით



3. უფასო ტრანსპორტით



4. ბინით და გათბობა-განათებით

— აბა, ბიჭებო, აბა ქალებო! დასცხეთ, დასცხეთ თქვენი სულის ჭირიმე... მიდი, მიდი ჰო... ეგრე, ეგრე... შეუტე, იერიში მიიტანე... დაარტყი, დასცხე, დასცხე!..

ასე „ხელმძღვანელობდა“ ვარლამ ნიკიფოროვიჩი მისდამი რწმუნებულ საწარმოს.

კვარტალის პირველ ორ თვეს მუდამ აუღელვებლად ცხოვრობდა თავის კაბინეტში ნიკიფორიჩი, მაგრამ სწორედ მესამე თვეში შეჰქმნიდა ალიაქოსს, გამოაცხადებდა განგაშს, დამკვრელ დღეს, იერიშის კვირეულს, მთლიანი ფრონტის თვეს. შეიქმნებოდა ერთი აურზაური.

— გადაჭარბებით უნდა შესრულდეს კვარტალის გეგმა! — ისროდა „ლოზუნგს“ ნიკიფორიჩი სწორედ კვარტალის უკანასკნელ თვეში, — დასცხეთ, დასცხეთ, დაარტყით, შეუტეთ!

იგი დასცინოდა ყველას, ვინც კვარტალის პირველ დღეებშივე მოითხოვდა გეგმების შესრულებას ყოველდღიურად, ყოველკვირეულად, ყოველთვიურად.

— კაცო, რატომ ხართ სულმოკლენი! რა გეჩქარებათ, სად გარბინართ! — ირონიით ამბობდა დირექტორი ნიკიფორიჩი.

— აბა კაცო კვარტალის ბოლოს სჯობია მიწოლა? — ჰკითხავდა მას რომელიმე მუშა.

— ყოველშემთხვევაში ჩვენ ჯერ დიდი დრო გვაქვს წინ. ჯერ რა დროს კვარტალის ბოლოა! მიყვებით ჯერ ნელნელა და ბოლოს დავარტყათ და დავარტყათ, დავსცხოთ და დავსცხოთ...

— არ ივარგებს ასე ამხანაგო დირექტორო, — იტყოდა ფაბკომის თავმჯდომარე, — კვარტალის პირველ ორ თვეში ჩვენ მუდამ ჩამორჩენა გვაქვს ხოლმე მასეთი წესის მიზეზით, გავვიჭირდება ერთ თვეში ნახევარი კვარტალის გეგმის შესრულება.

— სჯობს თავიდანვე თანმიმდევრობით ვასრულოთ გეგმები. მაშინ უფრო ადვილად და გადაჭარბებით გავანადღებთ საწარმოო დავალებას. — იტყოდა რომელიმე სტახანოველი.

ასეთი გამოსვლები მხოლოდ შებრალების გრძნობას იწვევდა ვარლამ ნიკიფორიჩში. იგი დაცინვით მიმართავდა მათ:

— ვაი თქვე საწყლებო, — როგორ წუწუნობთ, როგორ გეშინიათ!... ამას უწოდებთ თქვენ საწარმოო ბრძოლას? მე შემომხედეთ როგორ დარბაისლურად ფუყურებ ამ საქმეს. მე მომყევით და ასი პროცენტით თუ არა 90 პროცენტით მაინც ყოველთვის შევასრულებთ გეგმებს.

— რა საკადრისია 100 ან 90 პროცენტი, ბარემ თავიდანვე ავილოთ ტემპები და გადაჭარბებით შევასრულოთ გეგმა!

— ე, ბიჭო მაცადეთ პატარა. მომათქმევინეთ სული. — გაჯავრდებოდა დირექტორი. — ჯერ შევისვენოთ და ბოლოს დავსცხოთ!

— კაცო ახლავე დავსცხოთ! — გიუტობდა ფაბკომის თავმჯდომარე.

აქ კი ნიკიფორიჩი საშინლად გაჯავრდებოდა.

— გთხოვთ ნუ ჩაერევით ჩემს საქმეში! — იყვირებდა იგი. — ვინც ფიქრობს, რომ ახლავე დავსცხოთ, იმას ისეთნაირად დავსცხებ საერთო კრებაზე, რომ ცხვირს მოფუგრებს!

და აგრძელებდა ნიკიფორიჩი საკუთარ საწარმოო პრაქტიკას. საპირველმართოდ საწარმომ ჯერ კიდევ იანვარში იკისრა და მატებით შა-ნაწარმის გამოშვება. ვარლამ ნიკიფორიჩმა თვინონ შეაიფხა საკუთარ კრებაზე ვალდებულების ტექსტი.

მაგრამ აპრილის პირველ რიცხვებამდე მას არ გახსენებია ნაქისრა ვალდებულების შესრულება.

სწორედ 2 აპრილს იგი გაოფლიანებული მძვარდა ფაბრიკაში.

— მუშაობის დამთავრების შემდეგ არავინ წავიდეს, სახელდავლო მიტინგს ვიწვევ! — უბრძანა მოადგილეს.



— როგორ მოგწონთ, ხომ საუცხოვია!... — საუკეთესო ნახელავია, იღონდ ღორის შაშხი ტყემლით უფრო უკეთესი იქნებოდა.

დირექტორმა მთელს ფაბრიკას საგანგაშო ელფერი მისცა. — და აი, ამხანაგებო მოახლოვდა პირველი მაისი, — როცა ვალდებულება განადღებულ უნდა იქნას... დასცხეთ, დასცხეთ... შეუტეთ, დაარტყით, იერიში მიიტანეთ... ჩვენ ვერ დაუშვებთ, რომ ამ დიდი ზემის დღეს ჩამორჩენილი შევხვდეთ. სახელდახელო მიტინგზე მაგრად დასცხეს თვით დირექტორს, რასაც ეს უკანასკნელი სრულებით არ მოელოდა. — მთელი ორი თვეა გავიძახით, — ამბობდა მიტინგზე გამოსული ერთერთი მუშა, — მოგვაწოდეთ სათადარიგო მასალები, მოგვამარაგეთ ნედლეულით! მაშინ პატივცემული დირექტორი ყურსაც არ იბერტყავდა... — ახლა ხომ ბლომად მოგაყარეთ მასალები, რადას მისაყვედურებთ? — ახლა მთელი კვარტალის მასალები რომ ერთად მოგაყარეთ, როგორ უნდა ავითვისოთ! ამ მიტინგის შემდეგ ნიკიფორემ დიდხანს ვეღარ იდირექტორა. იგი მალე მოხსნეს როგორც სუსტი ხელმძღვანელი. ფაბრიკის კოლექტივმა კი, რა თქმა უნდა, თავი არ შეიკცხინა, პირველი მაისისათვის ნაქისრი ვალდებულება გადაჭარბებით გაანადღა და იკისრა. ახალი ვალდებულება: მე-2 კვარტალის გეგმა შესრულოს ყოველგვარი იერიშობის გარეშე ორი კვირით ადრე.

მების მკრივასებრი

ნან. ლინისა



პირველი მისი მისამართი ამოვიკითხე და შევხვედი მის მისამართს. მისი მისამართი არის: "მისი მისამართი". მისი მისამართი არის: "მისი მისამართი". მისი მისამართი არის: "მისი მისამართი".

პარისის პარკი

— ახელი გამზადი უფროსი შეიქმნა
— რა ვიცი, მადამ: აფერ, იმ კაცმა
უფროსი ხანა რად გაყოფა!



ნასისი პარკი

— ახ იაფად და ნიხად...
— რა შენთვისაა ეს გემო...
— გაკატრების გემო...



ნასისი პარკის პარკი

— ენერა, შენ ბოზარდინებაში ხარ ან მწიფობინარ, რომ
რადღე ხელი შეგებინა?
— ამ ბოზარდინებაში რომ მწიფობინარ, ხელი კი არა, თან
ვინ აღარ შეგმარებოდა.



პარსი პარკი

— მწიფობინარის მტრული... მე ამ სა-
ფრისო ვილაპარაკე მინდა? მე ხომ მწიფ-
ობინარის მტრული ვარ?



მინდა იმ უფლად წილი აიჩვენო
შეგიწუთ და მისხნ მე მბარდინებისგან
უბნარდინება გეცნობს.



გაგლი — კითხვა კაპიტალისტებმა შეგმრი და რეგენ გამონენაზე ახტი
ხელ განგაში?



შეჭიკვება

— შენ ვინ გამოგვანა ფეკრისკენ?
— წაუკრეხა ნება, შენ?
— უფროსი შენა.



პარსი (ევსკელოს სტრუბიათა მტრული)

— მე რომ მიწისძვრის ვახდენ და ხაზლი ვაბნარება ერთი
აღიკითხე ატულება ხოლმე, — აქ კი — უფროსი შენებო მივლ ქალაქ
ანკრევენ და...



პარსი (პარსი პარკი)

— მისამართი ვარ?
— მისამართი არ შეგარე ვერისის ტყე
კი გეშთვეთ.



პარსი (პარსი პარკი)

— მისი ახისი წილია და
ვინც... და ეს თუგებოცხი, ახტი არ მს-
ვენებენ.



პარსი (პარსი პარკი)

— რა შენის სერ, მიტანე ინტელიგენ-
ტის ნება?
— მის სერ, იმისთვის პარსულია მდ-
— შემდეგ სერ?
— შემდეგ ნაბიჯი.

ჩვენმა რედაქციამ სრულიად... მოსალოდნელად მიიღო მშვენიერი ნობათი: „რიუსკი კროკოდილი“.

ღიას, ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქ რიგაში გამოდის „ნიანგის“ მოძმე „ჟურნალი“ ქართულად მისი სახელი იქნება „რიგელი ნიანგი“.

ჩვენ უკვე მოგვივიდა რამდენიმე ნომერი. ლამაზად გაფორმებულ ამ საბჭოთა იუმორისტულ-სატირულ ჟურნალში თვალსა და გულს ახარებს მახვილი ფელეტონები, ლექსები, ილუსტრაციები, შარჟები.

ჟურნალი გამსჭვალულია მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმით, უდიდესი სიყვარულით პარტიისა და მთავრობისადმი, გამათავისუფლებელი წითელი არმიისადმი.

„რიუსკი კროკოდილი“ უღმობელად სცემს კაპიტალისტური ჩვევების ყოველგვარ გამოვლინებას, ახელს და ამათრახებს წვრილბურჟუაზიულ ტრადიციებს, ბიუროკრატიზმს, მეშჩანურ-ობივტელურ განწყობილებებს.

ჟურნალი ფართოდ ასახავს ლატვიის ბედნიერ მშრომელთა ახალ ყოფაცხოვრებას, მათს თავისუფალ შრომას, მათს ლტოლვას სოციალისტური შრომისა და შემოქმედებისადმი.

საბჭოთა ლატვიის ახალგაზრდა ბეჭდვითი სიტყვას გვერდს უმშვენებს სატირისა და ჰუმორის ბასრი იარაღი—„რიუსკი კროკოდილი“, რომლის გამოსვლას და მუშაობას სულით და გულით მიესალმება ჩვენი ჟურნალი.

ქირავდება ოთახი

კლოჩკოვი სამხედრო ფორმაში არ იყო გამოწყობილი, მას ეცვა ჩვეულებრივი, უბრალო პალტო. მადამ შლიაპკინას, რასაკვირველია, არ შეეძლო გამოეცნო, რომ საქმე აქვს მოსკოვიდან ჩამოსულ მეთაურთან.

—ფასი მისაღებია. ფართობი მართლაც პატარაა, მაგრამ როგორმე მოვთავსდებით.

—გ... განა თქვენ გაქვს თქვენი...საკუთარი ავეჯებიც? —ფრთხილად იკითხა შლიაპკინამ.

კლოჩკოვმა გაიცინა.

— ასე ვთქვათ, თუ კაცი ძალიან მონდომებს მას შეიძლება ავეჯიც დავარქვათ, თუმცა ის... არც კაკლის ხისაა და არც მუხის...

—მაშ რისია? —გულუბრყვილად შეეკითხა შლიაპკინა.

—აღამის გვერდისაგან არის გაკეთებული.

—თქვენ... თქვენ ცოლიანი ხართ? — შეშფოთებით წამოიძახა შლიაპკინამ.

—თქვენ განა გაუთხოვარი ხართ? —კითხა კლოჩკოვმა და ახედახედა ჩასუქებულ შლიაპკინას.

—რა შუაში ვარ აქ მე? — აღშფოთდა ის — ოთახს თქვენ ქირაობთ და არა მე.

—მაგრამ თქვენც ხომ „მეჩაჩი“ არ ხართ, რომ მომცეთ შეკითხვები ჩემი მოქალაქეობრივი მდგომარეობის შესახებ? — გაიკვირვა კლოჩკოვმა.

—მაგრამ მე როგორც ბინის პატრონს, უფლება მაქვს არ შემოუშვა ჩემს ბინაში ცოლიანები... გასაგებია თქვენთვის? და ჯერჯერობით კი ჩემს სახლში მე ვარ პატრონი! — მიახალა შლიაპკინამ.

კლოჩკოვს, ცოტა არ იყოს, ეუცხოვა.

—უპაცრავად, —უთხრა მან, — მე არ ვიცოდი... მაშასადამე, თქვენში ცოლიანებს უფლება არა აქვთ საცხოვრებელი ფართობი დაიჯავონ?... — არა, ასე არაა, — წაღვლიანად უპასუხა შლიაპკინამ — მაგრამ მე პირადად არ მინდა ჩემთან შემოუშვა ცოლქმარი. წინააღმდეგ შემთხვევაში დაზღვეული არ ვიქნები, რომ კიდევ არ გამრავლდებიან ოჯახის წევრები.

— დაზღვეული იქნებით! მზად ვარ ხელწერილი მოგცეთ. — სწრაფად მიუგო კლოჩკოვმა, — ჩემი მხრითაც და ჩემი ცოლის მაგიურაც: — ბავშვები მეტი აღარ გვეყოლება!

— ესე იგი რას ნიშნავს ეს „მეტი“? — იმათზე მეტი, რომელნიც უკვე გყავნან.

— ბავშვები გყავთ? — შეჭკივლა შლიაპკინამ, — და თქვენ არც კი იფიქრეთ, რომ ამის შესახებ თავიდანვე გაგეცხადებოდათ?..

— მე... არ ვიცოდი... განა ბავშვების შესახებ აქ განსაკუთრებული განცხადება საჭიროა? — შლიაპკინამ ტაში შემოკრა, ზევით აიხედა და თითქოს ჭერს შესჩივლა: — ეს კაცი მე მომპაპებს თავისი გულუბრყვილობით გამრავლდით, რამდენიც გნებავთ იმდენი შვილები იყოლიეთ, მაგრამ... თუ თქვენ მრავალრიცხოვანი ოჯახი გაქვთ, უთუოდ, სამზარეულოც მოგინდებათ... — თავისთავად ცხადია... გაკვირვებით უპასუხა კლოჩკოვმა, — ეს, ასე ვთქვათ, პირველი მოთხოვნის საგანია... — აი ხომ ხედავთ! და ჩემი სამზარეულოთი სარგებლობა კი წარ შეიძლება.

— კვამლი არ გადის? მიღში? — თანაგრძნობით შეეკითხა კლოჩკოვი.

— კვამლი მშვენივრად გადის, მაგრამ ის დაკავებულა.

— განა თქვენ სამზარეულოებსაც აჭირავებთ? — არ ვაჭირავებთ; მაგრამ ის მიკავია პირადად მე, ჩემი საკუთარი ოჯახის საჭიროებისათვის.

— ნუ თუ ერთი პრინციპის დასადგმელი ადგილიც არ მოიპოვებთ? — შლიაპკინას სახეს დაეტყუა დაღვრემილობა.

— პრინციპის დასადგმელ ადგილს მონახავდა კაცი მაგრამ არ არის ადგილი კიდევ ერთი ქალისათვის.

— ჩემი ცოლი პატარა ტანის ქალია და ძალიან გამბდარი — დამამშვიდებლად განაცხადა კლოჩკოვმა და კრიტიკულად შეათვალიერა მადამ შლიაპკინას სქელი და დონდლო ფიგურა.

— აქ საქმე მოცულობაში კი არაა — ცივად სთქვა შლიაპკინამ — გნებავთ ეს თქვენ ჩასთვალეთ უბრალო კაპრიზად, მაგრამ მე მოინაღრმეებს ჩემი სამზარეულოთი სარგებლობის ნებას არ ვაძლევ კლოჩკოვი სერიოზულად დაუიქრდა.

— სხვა საჭირო მოწყობილობით სარგებლობა შეიძლება? — შეიძლება! — დამინავად უპასუხა შლიაპკინამ — მაგრამ, რატომ უნდა, საბაზანოთი არა.

— წყალი გასდის? — დაინტერესდა კლოჩკოვი, — მე ჩინებული მკალავი ვარ.

— დიდად გმადლობთ! აბაზანას შეგეთება არ საჭიროდება, მაგრამ მე დაჩვეული ვარ შიგ მარტო ვიბანაო

— მომიტევეთ! — წამოიძახა კლოჩკოვმა — ჩვენც ასეთი ჩვეულება გვაქვს, ჩვენც ცალკულე ვბანაობთ ხოლმე... ჯერ თქვენ დაიბანთ, მერე აბაზანას კარგად გავასუფთავებთ და უკვე... — არა, არა, — პროტესტი განაცხადა შლიაპკინამ, — ჯერჯერობით პატრონი აქ მე ვარ... — მაგრამ ამ „ჯერჯერობითს“ ვადა უკვე გაუვიდა — დამშვიდებით სთქვა კლოჩკოვმა.

— ვაუვიდა, ვიცი რომ გაუვიდა, — ბრანზორეულად უპასუხა შლიაპკინამ, — იმ ტომ არის, რომ ოთახს ვაჭირავებ.

— მაგრამ, რადგან ოთახს აჭირავებთ, მდგურმა უნდა ისარგებლოს ყველაფრით რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს: სამზარეულოთი, გასასვლელით სხვენით... — როგორ თქვენ სხვენიც ღინდათ? — თითქმის ისტერიულად წამოიყვირა შლიაპკინამ, — რისთვის? — თუნდაც თეთრეულის გასაშრობად... — თქვენ სახლში უნდა გარეცხოთ თეთრეული? — ზოგიერთი წვრილმანი მხოლოდ, ცხვირსახოცები პირსახოცები... — ვინ გარეცხავს? — უნდა ვიფიქროთ, რომ ჩემი ცოლი! — გაეცინა კლოჩკოვს.

მადამ შლიაპკინამ იტაცა ხელები თავში: — თქვენი ცოლი გარეცხავს!! განა ვინ არის ის, — მრეცხავია? — ო, არა, ჩემი ცოლი... — დიას. დიას... ვინ არის თქვენი ცოლი? — ჩემი ცოლი წითელი არმიის მეთაურის ცოლია, — მშვიდად და შთამბგონებლად უპასუხა კლოჩკოვმა. მადამ შლიაპკინამ უკან დაიხია, და რომ კარების ბოყვს არ შეეკავებია იატაკზე გაიშალართებოდა იმდენად განცვიფრებული იყო იგი. წითელი არმიის მეთაურია და „დენშიკიც“ კი არა ჰყავს, რომელიც გარეცხდა წვრილმან სარეცხებს... ეჭ, დრონი, დრონი!

3.


(თარგმანი „რიუსკი კროკოდილიდან“

(„რიესკი კროკოდილიდან“)

მუღამ მანძიისში

ნახ. ხ. თ.

ქვეყნული
ბიბლიოთეკა



აღიშვანში: სერ, ლონდონში ჩამოყარეს 120.000 კილოგრამის წონის ყუმბარები.
მერე რა, ჩვენ სწორედ გვესაჭიროება ფოლადის ნამტვრევები.



დიანის დღი

ქუთაისის და ლენინის შორის

დადის მხოლოდ „ზრუნავიკი“, მაგრამ ისიც რომ იშოვოთ საჭიროა ცოტა ხრიკი.

თუ გსურთ არ ავცდეთ თქვენ ანთება, გრიპი და ხველა, თუ კომპრესების გაკეთება გსურთ სწრაფად, ხელად,

თუ გსურთ არ ავცდეთ სურავანდი და სხვა ხიფათი, მოინახულოთ თქვენ აბანო ნომერი ათი.

შიგ სიციფვა ვით პოლუსზე, დაგკრუნჩხავს მწარეთ ყინვა, სანამდრ არ გამოხვალ ქუჩაში გარეთ.

აბაზანების ცარიელი დამხვდა აუზი, წყლით რომ ვერ გავთბი სიმწრის ცეკვით ფეხი გაუსვი.

მოსამსახურე პერსონალოზე ცუდს ვერას ვიტყვი, რადგან თავიდან გვაფრთხილებენ ასეთი სიტყვით:

მოქალაქენო, რამდენიც გსურთ იმდენი ხანი „პივიენურად ისარგებლოთ“ მშრალ აბაზანით.

ცა თუ მოგივლენთ სასწაულით მაღლიდან ნამსა, თორემ ნუ ელით: აბანტრესტი არ გვაწვდის წყალსა“.

ბევრჯერ გვსმენია აბანტრესტის სხვა დროსაც ქება. ბევრჯერ უგრძვნია ნიანგისგან ჩანგლის თაქება.

მაგრამ ბოლო დროს ჩანს, შეეტებო „ქების“ ამ კილოს და მიტომ ვუთმობ მე სახკონტროლს ამ ჩემს საკბილოს.

არ ვიტყვით, რომ თბილ აბანტრესტი, არას გვარგია მის აბანოთა მუშაობა ზოგჯერ კარგია,

ზოგან ცუდათ არ მუშაობენ წერტები მისი, მაგრამ თუ მე ათ ნომერს „ვაქებ“ ამ ლაღადისით,

მას უფრო მეტად სჩანს ეკუთვნის ასეთი ქება, მაშ დე ისმინოს, ჩემი, ჩრევა და დარიგება:

თუ გსურთ, რომ ავცდეთ თქვენ ანთება, გრიპი და ხველა, თუ კომპრესების გაკეთება გსურთ სწრაფად, ხელად,

თუ გსურთ არ ავცდეთ სურავანდი და სხვა ხიფათი — მოინახულოთ თქვენ აბანო ნომერი ათი.

თვითონ გამგემ ასე მითხრა: ნუ ჩადგები ჯერში შენო, ცოტა ზედმეტს თუ გადინდი შეგიძლია დაისვენო.

დავიჯერე მისი სიტყვა გამეზარდა კიდევ დიდად. ვფიქრობ ბილეთს მომართმევენ, მაგრამ აღარ მომივიდა.

ბოლოს გამგეს მივეჭერი ვკითხე რა ჰქენ მეგობარო? — შენ მე ბილეთს მიგვიანებ, მანქანა კი მიდის ჩქარობს.

მან ხედაბლად მიჩირჩულა: დაიცადე, ნუ დარდობო, კონტროლი რომ გადმოხტება, მანქანაში მოგაწყობო.

დამასკუბა მართლაც, მარა ადგილი მხვდა უზერხული, თანაც უბილეთოდ ვიყავ, — მეშინოდა, თრთოდა გული.


გვერდებიც სულ ჩამეღეწა ძლივს — ძლივობით შემრჩა სული, თუმც ორმაგად ამაცივცლეს მგზავრობისთვის ნაღდი ფული.

მ-ზა.

ქალელი

სწორი შეღარება

ნან. ა. კანდელიას



აკინიკული — 8 საათის მაგიერ პეიმანზე ცხრისნახევარზე მოდინარ, რათ მინდა გენაცვალე, შენ ხომ ეხლა მატარებელივით გრაფიკიდან ხარ გამოსული?

ამერიკის 30 საავიაციო ფირმის მოგება 1939 წელს უდრიდა 25 მილიონ დოლარს, 1940 წელს—61 მილიონს.

„ნეშინელ სიტი-ბენკ“
ამერიკის აღმოსავლეთ შტატებში გაიფიცა 400.000 მუშა დებეზებად

შარშან, ოთახის კედლების ფერშესაცვლელად მღებავი მოვიწვიე. ფასზე ბევრი არ გვიყარია: ათ წუთში მოვრიგდით. მღებავმა ფუნჯის პირველი მოსმისთანავე ასეთი საუბარი ჩამომიგდო:

—სწორე მითხარი, ახალი ვინმე მოგემატა, ხომ?

—ვინ ახალი?!

—ოჯახში, ახალი წევრი.

—შენ შეილზე მეკითხები, ალბათ; არა, შეილი არა მყავს.

—შეილი რა შუაშია, სხვა არავინ მოგემატათ სახლში?

—მაგალითად?

—მაგალითად: ცოლი.

—ცოლი კი, ახალნათხოვი მყავს.

—ჰო, ვიცი...

—შენ საიდან იცი?

—შევატყე...

—ვის? სად?

—თქვენს კედლებს...

—კედლები რა შუაშია?

—მაშ ასეთ კაი კედლებს რაღა შეღებვა უნდა!

კარგად ვერ მივხვდი მღებავის ხუმრობას, ვიფიქრე: ზოგიერთი ქალებიც ხშირად ეტანებიან გათხუპუნას, ალბათ ამის გავლენით ლაპარაკობს მეტეი და კედლების გათხუპუნის მოლოდინმა შემაშინა.

—როგორ, კედლებიც უნდა გათხუპუნო, თუ?

—არა, ძმაო, თუ გინდა ბაზარში ჩადი და იკითხე რა ხელოსანი ვარ. ოცი წელიწადია ამ საქმეზე ვმუშაობ და ჯერ მომდურავი არა მყავს.

—მაშ ქალებზე რატომ ჩამომიგდევ სიტყვა?

—ქალები რა შუაშია. მე შენ ცოლზე მოგახსენე?

—ჩემი ცოლი რაღა შუაშია?

—იმ შუაშია, რომ ჩვენ მაგითი ვცხოვრობთ.

—ჰკუთხე ნუ შემშლი. თუ ძმა ხარ, მითხარი რის თქმა გინდა. მღებავმა სამუშაოს თავი მიანება, ღრმად გაიღიმა და ამიხსნა:

—შენი ცოლი რა შუაშია და... ის რომ არ მოსულყო, ვინ მოიგონებდა ამ კედლების შეღებვას. ახალი თვალი, ახალი ჰკუა, ახალი გემო, ახალი საქმე. ჩვენ ამითი ვცხოვრობთ.

—კი, მაგრამ, თქვენ მარტო ახალდაოჯახებულთა ოთახებს ღებავთ?

—რათა, წარმოებებს, დაწესებულებებს, ქუჩებს, მაღაზიებს. მე აბრებსაც ვწერ.


—მერე? როდის იყო, რომ დაწესებულებებში და მაღაზიებში ქორწილები იმართებოდა და ცოლებს თხოულობდნენ?

—რატომაც არა, ყოველთვის.

—შენ ხუმრობის გუნებაზე ხარ, ჩემო კარგო.

—ხუმრობა რა შუაშია. პატიოსანი კაცი ვერ უნდა მიხვდებ?

ახალი თვალი ახალი ჰკუა, ახალი გემო, ახალი საქმე. დაწესებულების ან მაღაზიის



მილიონარი. — ამ მილიონებმა რომ გაიმარჯვონ, ჩემი მილიონები ხომ დამელუბა?!

უფროსი ახელ-დახედავს იქაურობას. ეს რანაირიაო, იტყვის, უკულტურობაა, რასა გავსო და ჩვენ დაგვიძახებს: თუ ძმა ხარ, ამ ფერად უნდა შეღებო, რა ეღირებო.

—მერე? თქვენც ღებავთ, ხომ?

—მაშ სხვა რა ხელობა მაქვს: აბრებს ვწერდი და იმასაც თავი დავანებე.

—რატომ, სახირო საქმე ვერ არის?

—ხეირი? აბა იქ არის. ხეირი, მაგრამ შარს გადავეკიდე და...

—რა შარს, ალბათ შეცდომით დასწერე რამე, არა?

—შეცდომა რომელია. მაგაზე ვინ რას გეტყვის... ფული ვერ გავინაღდე.

—რას გერჩოდნენ, შენს ნამუშევარს...

—რა ვიცი, ვაიგებ რასმე? ახალი თვალი, ახალი ჰკუა...

—ეგ რაღას ნიშნავს?

—სულ უბრალო რამეს: აი, ვთქვით, არ-

ტელ „ჩვენ ბრძოლაში“ მოვიდა ახალი თავმჯდომარე, მიიხედ-მოიხედა ხომ იცი ახალი თვალი, ჰკუის ამბავი, — არ მოეწონა, სთქვა: არტელს ავტორიტეტი წამხდარი აქვს. ვალები ადევს. სახელი უნდა გამოუტყვალთ მოიწვევს კრებას, დაადგენს, რომ „ჩვენს ბრძოლას“ დღეიდან „ჩვენი შრომა“ ჰქვიან და ამალამ დღიდან პრეტენზიები აღარ მიიღება. არტელს ხუთასი წერტი აქვს. დაგვიძახებენ. ხუთას ახალ აბრას დაწერ, ანგარიშს შეადგენენ და რომ უნდა გავისწორონ: პუბუზ! კიდევ ახალი თავმჯდომარე. არტელს ახალი სახელი ერქმევა იმ დღესვე. თავმჯდომარე ამბობს.

— მე რა ვიცი, ვიხც დაგავალა, იმას მოსთხოვეო. წადი და ეძიე ძველი თავმჯდომარე... შარია ჩემმა მზემ... — ამოიხსრა მღებავმა და თავისი საქმე განაგრძო.

ბ. ივანიშვილი.



— აა, სალამ ალეიქუმ, მიტროფან ჩემო, როგორ მყავს შენი თავი, რასა იქ, როგორ სცხოვრობ?

— არა მიშავს რა.

— რატომ ვერსად გნახულობ კაცო, ვერც მუშტაიდში, ვერც კიროვის ბაღში, ვერც ფუნიკულიორზე, მამადავითზე, კომკავშირის გორაზე, ახლა უკვე მაისია ჩემო მიტროფანე, არსად არ უნდა გამოჩნე, თვალს წყალი უნდა დააღვინო, გული გაამხიარულო, გრძნობა აამჩქეფარო და შენი შემოქმედებითი ფანტაზიაც უფრო გაიშლება, გაცელქდება და ამღელვარდება. შენ კი ჩაკეტილხარ, ჩემო ძმაო, მუზეუმის ჯურღმულებში და წლობით ჩხრეკავ, ჩაკირკიტებ მტვერიან ქაღალდებს, იკვლევ ადამისწლის ნაწერებს ნახზან-ნაცოდვილარებს, რა არის და გავაცნო საზოგადოებას, რომ ამა და ამ საუკუნეში ასეთი და ასეთი კაცი იყო, რომელმაც, თავის თავი ზვარაკად შეწირა სამშობლოსათვის, თავისი მუშაობით აყვავა და გაამდიდრა ჩვენი მწერლობა და ეხლა კი ვაქოთ და ვადიდოთ. მოეშვი თუ კაცი ხარ იმ ვილაკებს, მათ თავისი დრო მოუქამიათ და ეხლა გინდ აქე და გინდ აღიდგ. დროა, ჩემო მიტროფან, ჩვენი თანამედრო-

ვე წამყვან პოეტებისათვის აამუშავო შენი ბასრი კალამი. ჩვენზე, სულის ინჟინრებზე.

— რას იზამ ჩემო თეოფილე, კაცია და გუნებაო, ვისაც რა იზიდავს იქითკენ მიისწრაფის.

— ვერ დაგეთანხმები, მიტროფან ჩემო, შენი კაცობაც, გუნებაც და მისწრაფებაც სწორედ ჩვენს შემოქმედებით აღმაფრენას უნდა დაუმორჩილო. აი მე ხომ მხედავ, მთელი ჩემი ნიჭი და ენერჯია მთლიანად პოეზიაში გადავხლართე, ოცნების რაშზე გადამჯდარი დაეკროლავ ხან აღმა, ხან დაღმა, ხან მთაზე, ხან კლდეზე და ჩემი ლექსთა მარგალიტები საუცხოვო ფერებში ჩამოქსოვრლ, ჩამოძერწილ გზას უნათებს ჩვენს პოეზიას.

— მაინც რა შესძინე ხელოვნებას?

— როგორ თუ რა, ჩემი უკანასკნელი პოემა არ წავიკითხავს.

— წავიკითხე, მერე?

— კრიტიკოს ძმაბიჭაძის სტატიაც წავიკითხე ამ პოემის შეფასებაზე?

— არა?!

— ხოო, თუ არ წავიკითხავს, მაშინ მოისმინე და გაიგებ, აბა დამიგდე ყური... ყოველივე შემოხსენებული შეჯამების შემდეგ

ასეთი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ. პოეტთეოფილე ბელტიყლაპიძის პოემა „კოლომბის ჯირითი“, წარმოადგენს სრულიად ახალ სიტყვას ჩვენს პოეზიაში. ამ პოემაში პოეტი არაჩვეულებრივ სიყვარულს იჩენს თემისადმი თავის გმირებისადმი. მათი ფიქრებით და გრძნობებით სუნთქავს; მათი სიხარულით თვითონაც სტკება. პოეტს, ცხოვრების ღრმა ცოდნით შეიარაღებულს უმძაფრესი განცდები და გაქანებები ჩაუქსოვია თავის გმირებისათვის და ტიპები ტიპიურ გარემოში მოცემულია მთელი სიცხადით, სოციალისტურ რეალიზმის ფერებში.

პოემა „კოლომბის ჯირითი“ შესრულებულია უდიდესი ოსტატობით და შედეგადა ქართულ პოეზიაში...“

— ახლა ხომ გაიგე ვისთან გქონია საქმე?

— კი მაგრამ სტატიის ავტორს პასუხი არ მოსთხოვე?

— რისთვის?

— რითვის და ცილისწამებისათვის.— ჩილაპარაკა მიტროფანემ და სასწრაფოდ მოშორდა უჩვეულო პოეტს.


დავითა

ნან. ა. კანდელაკისა

კახეთის მაგარკებელი

კიბნი უიჯალგურის დარბაზის შენაგლებს

(ზუგდიდი)



ფიზკულტურის კომიტეტს საქმენი აქვს რთულია; თავის დარბაზს აშენებს ხუთი წელი სრულია.

პირველ წელს მოიტანეს აშენების საგზური, მეორე წელს ქვები და მესამე წელს აგური.

მეოთხე წელს, რაც ჰქონდათ ისიც სხვამ წაიღო და... კომიტეტი შენების სურვილებით იწვოდა.

მეხუთე წელს კვლავ გაჩნდა მასალების გორები, (საძირკველიც ჩაყარეს არ გეგონოთ ჭორები).

ჩაჰყარეს და... შენებაც შიატოვეს კვლავადა, (მასალები კი გარეთ ღვება საცოდავად!)

ნიანგოჯან, ზარმაცებს დაეკრათ ჩანგლის წვერია, რომ სასწრაფოდ მოჰკიდონ მშენებლობას ხელია.

მგზავრები. კონდუქტორ, ერთი ჰიქა კიდევ დაგვიღიე, უფრო მხიარულად ჩავალთ. კონდუქტორი. გურჯაანიდან დაწყებული ეს უკვე მე-15 ჰიქაა, მაშ გაუმარჯოს ჩვენს „მაშინისტს“, რომელსაც მთვრალი და ფხიზელი მგზავრები ერთნაირად მიყავს.

ბ. აღშიბაია



ამხ. ნიანგო

ქედის რაიონის სოფ. დანდალოს ფურნეში მუშაობს მეფურნე ოსმან ტაქიძე. მან თავის საქმეში დიდ წარმატებას მიაღწია. მის მიერ გამოცხვარი პური ასეთია: ერთ კილოგრამ პურში იბოვით 300 გრამ თოქს, 200 გრამ ხრეშს, 400 გრამ წყალს, 20 გრამ სხვადასხვა მალნეულს და დანარჩენი კი ჩვეულებრივი პურეული ნივთიერებაა.

ასეთი მიღწევისათვის ქედის რაიონის არავითარი „ჩილდო“ არ მიუტია. ამხ. ნიანგო, იქნებ თქვენ დააჩილოდეთ ის თქვენს ჩანგალზე წამოგებით. დანდლოელი

ამხ. ნიანგო

ექვსი თქვე გადის რაც ზემონტანების კოოპერატივს აღარ მოუტანია გასასყიდად ნავთი, როცა მომხმარებლები მიმართავენ გამყიდველ ანდლულადეს რატომ არაფერ ზომებს იღებთ, რომ ლამპაში ჩასასხმელი ნავთი აღარ გვაქვსო. ანდლულადე ღიმილათ უპასუხებს: თქვენ ისედაც განათლებული ხალხი ხართ, ლამპა რაღად გინდათო. კარგი იქნება თუ ამ ოხუნჯ კაცს, ხუმრობით წაპკრავთ თქვენს ნიანგურ ჩანგალს, იქნება თავის მოვალეობას შემდეგ უფრო მეტი ყურადღებით მოეპყრას. ნაღმი

— ეს კაცი მთელი საათია საუბრით აცდენს საქმეთა მმართველს. უთხარით წავიდეს.

— შეუძლებელია, იგი სპეციალურადაა მიჩენილი, რათა გაართოს საქმეთა მმართველი, წინააღმდეგ შემთხვევაში თვით ეს უკანასკნელი გააცდენს მთელ შტატს.

ჩვენის უოსვა

ნატანებელს (ნატანების თემი) გვწერთ:

ველოსიპედი ვიყიდე
გზაში უნდა გავწელო,
მინდა ლექსად ბევრი რაზე
ჩვენს „ნიანგოში“ გავწერო.
სოფლელი გლეხის შვილი ვარ,
მინდა წახვლა „გოროდში“,
წერილი თუ არ ივარგოს,
გადუძახეთ ვოდორში.

თქვენი თხოვნა უკვე შესრულებულია.

ჭიჭიკოს. (თბილისი) თქვენი ლექსი ასე თავდება:

„გამოაქვეყნე ნიანგო,
ამ ჩემი ლექსის წყობანი,
არ გამოწბილო გეთაყვა
დიდი მაქვს თქვენი ნდობანი.“

მართლაც ნდობას გვიცხადებთ, თქვენს ლექსს მაინც ვერ ვბეჭდავთ.

შ. თაშოვრის (ტყიბულის რ.) ვინმე რევიზორი პავლე ნიშანში ამოვიღიათ და ასე სწერთ:

მგზავრ ქალებში ზოგს უცინის,
ზოგს უპრაწავს თვალებს პავლე,
როგორ უნდა მგზავრებს მოქცევა,
გთხოვთ, ნიანგო, მას ასწავლე.

ვერც თვალის „პრაწავს“ და ვერც გაცინებას ვერ აუკრძალავთ, მხოლოდ მგზავრებთან წესიერად მოქცევის სწავლებაში მას დახმარებას აღმოუჩინეთ...

გ. ლ. შ. (ძირულა) ცხენის სიკვდილი, ცხადია, დაგამწუხარებდათ. თან გრძნობის ღირსი ხართ. ამიტომაც გიბეჭდავთ თქვენი ლექსიდან ნაწილს:

სანამ მყავდა ჩემი ცხენი,
გული მქონდა მხიარული,
რადგან ფეხით მე არ მიყვარს
ხეტიალი, სიარული.
უბედური დღე დამიდა
და გაუსკდა ჩემს ცხენს გული,
ხშირად ვტირი, მის საფლავზე,
სადაც არის დამარხული.

როგორც, გავივით თქვენს ცხენს ჯავრით გასკდომია გული, თქვენც თუ იჯავრეთ, შეიძლება იგივე მოგივიდეთ, რაც თქვენს ცხენს.

კურკანტელს (ბორჯომი) თქვენი ლექსი „მარგალიტის თვლიდან“ ვაქვეყნებთ რამდენიმე „მარგალიტს“:

რა შეედრება აქაურ დამეს
როს დაგორდება, როგორც კამეჩი,
მაშინ ქუჩაში ვევირი: ვაი, მე!
ეი, მიშველეთ! ვინ ხართ! რას მერჩით!
ვინ გამომტაცა სატრფო ხელიდან,
იმის მაგიერ მეხვევა დამე,
და სიბნელეში ვცახცახებ მარტო,
ვგონებ გავგიუდი, ვევირი „ვაიმე“.
და და ა. შ.

ახია თქვენზე, ერიდეთ ბნელ ქუჩებს.—



— ჩვენი ქარხნის მიდამოები ისეა ათასხანთლიანი ელნათურებით გაშუქებული, რომ ყველაფერი ხელისგულივით ჩანს.
— ჩვენი გაზეთის რედაქტორი მაინც ვერაფერს ხედავს: იგი მხოლოდ მიმზიდველობისა და საბლანეტაშორისო მოძრაობის საკითხებით არის გატაცებული.